განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

„სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1479-Iს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მომზადების მიზნით 2013 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. ამავე დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დაევალა საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა 2015 წლის 15 სექტემბრამდე. კომისიის, აგრეთვე კომისიის სამუშაო ჯგუფების მიერ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მომზადებისა და მის ცალკეულ დებულებებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დამატებით მსჯელობას საჭიროებენ, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა შეაფერხოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის კომისიის მიერ პარლამენტისათვის დადგენილ ვადაში წარდგენა. ამიტომ, მიზანშეწონილია, განისაზღვროს ახალი ვადა და კომისიამ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი პარლამენტს წარუდგინოს 2016 წლის 29 თებრვლამდე .

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი

დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1479-Iს დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ვადის გადაწევას 2015 წლის 15 სექტემბრიდან 2016 წლის 29 თებერვლამდე.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი

დადგენილების პროექტით ცვლილება შედის „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1479-Iს დადგენილებაში. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტი, რომელიც ადგენს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის ვადას, ყალიბდება ახალი რედაქციით. ნაცვლად დღეს არსებული ვადისა - 15 სექტემბრისა, დადგენილების

პროექტით კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის წარდგენის ახალ ვადად განისაზღვრება 2016 წლის 29 თებერვალი.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება

დადგენილების პროექტი არ იწვევს რაიმე სახის ფინანსურ შედეგებს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

დადგენილების პროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

დადგენილების პროექტი არ არის კავშირში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

დადგენილების პროექტი არ არის კავშირში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში

დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილება არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას/დაწესებულებას, ექსპერტებს.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ

ასეთი შეფასებები არ არსებობს.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები დავით უსუფაშვილი და მანანა კობახიძე.

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები დავით უსუფაშვილი და მანანა კობახიძე.